საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

vhs
DVV International

მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმდინარე პერიოდში გაწეული
მუშაობისა და საინტერესო
მოვლენების შესახებ

№2
2019

ნომერშია:

- საპროექტო განაცხადის მომზადების ტრენინგი 2
- ორიოდე სიტყვა ზრდასრულთა განათლებაზე... სამომავლოდ 3
- EENCE სამიტი საქართველოში 5
- 21-ე საუკუნის ზრდასრულთა სამუშაო სტანდარტი ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებისათვის 6
- თანამშრომლობის მემორანდუმი 6
- 2019 წლის საუკეთესონი საქართველოს ზრდასრულთა განათლებაში 7

საპროექტო განაცხადის მომზადების ტრენინგი

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დაკვეთით, 2019 წლის 18-20 სექტემბერს, GAEN-ის ოფისში, საპროექტო განაცხადის მომზადების თემაზე ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი, რომელსაც პავლე თვალიაშვილი უძღვებოდა. ტრენინგის სამიზნე ჯგუფი სათემო და ზრდასრულთა განათლების ცენტრების წარმომადგენლებისგან შედგებოდა, რომლებთანაც ტრენინგის გეგმა და შინაარსი წინასწარ შეთანხმდა. მონაწილეები აქტიურად ჩაერთვნენ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დავალებებში, ასევე - დისკუსიებში. ტრენინგის მსვლელობისას სამი ჯგუფი შეიქმნა და მათში მოხდა იდეების გენერირება, თუ რა საკითხებზე სურდათ მონაწილეებს სასწავლო საპროექტო განაცხადის მომზადება. გამოიკვეთა სამი თემა: „ქალთა და კაცთა კლუბი“, „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება“ და „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეებმა პრაქტიკულად გაიარეს ყველა ის ეტაპი, რაც საპროექტო განაცხადის მოსამზადებლად არის საჭირო. ბოლოს კი მოკლე წარდგინება გააკეთეს სავარაუდო „დონორის“ წინაშე. პრაქტიკულმა დავალებებმა მონაწილეთა დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია.

მონაწილეთა უკუკავშირი:

ტრენინგზე დამსწრეები სამივე დღეს აქტიურად მონაწილეობდნენ აქტივობებში, დავალებების შესრულებაში, წარდგენებსა და დისკუსიებში, ყოველი დღის დასასრულს კი სამუშაო ჯამდებოდა. ტრენინგის ბოლოს მათ ტრენინგის მუშაობასთან და შედეგებთან დაკავშირებული კითხვარი შეავსეს.

ტრენინგის შედეგები და დაკვირვებები:

გამოიკვეთნენ ის ადამიანები, რომლებსაც საპროექტო განაცხადის მომზადებაში მონაწილეობა აინტერესებთ სათემო და ზრდასრულთა ცენტრებში სამუშაო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ოჩიოდე სიტყვა ზრდასრულთა განათლებაზე... სამომავლოდ

იყო დრო, როცა ზრდასრულთა განათლების ხსენებაზე აუცილებლად გკითხავდნენ, რას ნიშნავს და რას სთავაზობს იგი ადამიანებს. მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების იდეა, როგორც ზრდასრულთა განათლების საფუძველი, მართალია, კეთილშობილურად, მაგრამ ცოტა გაურკვევლად ჟღერდა, რადგან მისი მიწოდებისა და შემდეგ ცხოვრებაში რეალიზების შესაძლებლობებზე ნაკლებად იყო ცნობილი ჩვენში.

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (DVV International) საქართველოს ოფისმა ზრდასრულთა განათლების გამოცდილება 2000 წელს შემოიტანა გერმანიიდან და ზრდასრულ ადამიანებს შრომის ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობა პიროვნული განვითარების უნარებისა და სახელობო კურსების მიწოდებით შესთავაზა. აქცენტი, ძირითადად, რეგიონებზე გადაიტანა, სადაც განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სასურველი ცოდნის მიღების მწირი შესაძლებლობები იყო. ეს შესაძლებლობა ევროკავშირის პროექტების ფარგლებში გახსნილმა ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა შექმნა, რომელთა დანიშნულება კონკრეტულ რეგიონებში ადგილობრივი გამოწვევებითა და მოსახლეობის ინტერესებით განისაზღვრებოდა. ასე გაიხსნა ზრდასრულთა განათლების პირველი ცენტრები სამცხე-ჯავახეთში (ახალციხესა და ახალქალაქში) 2006 წელს, ხოლო შემდეგ 2010-ში - ევროკავშირის კიდევ ერთი მასშტაბური პროექტის ფარგლებში - სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში. ჯვარის, სენაკის, შაუმიანისა და კოდის სათემო განათლების ცენტრები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას ახალ საცხოვრებელ ლოკაციებზე დამკვიდრებასა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციაში დაეხმარა და მალე მათთვისაც და ადგილობრივებისთვისაც მორალური და სოციალური მხარდაჭერის ნამდვილ "ოაზისებად", განათლებისა და ცივილიზაციის კერებად იქცა. მას შემდეგ აქ ათი ათასობით დევნილმა და ადგილობრივმა გაიარა სხვადასხვა პროფილის სახელობო კურსები, განივითარა პიროვნული უნარები, შედეგად კი საკუთარი საქმე, მცირე ბიზნესი

წამოიწყო და ცხოვრების ხარისხი გაიუმჯობესა. ხოლო ზოგი მათგანი თავად გახდა ტრენერი და ახლა უკვე სხვებს სთავაზობს "მშობლიურ ცენტრში“ ცოდნას, ცხოვრების იმედსა და სტიმულს.

სწორედ ამ წარმატებებმა, კონკრეტულმა შედეგებმა და ევროკავშირის პროექტებში დაგროვილმა გამოცდილებამ DVV International-ის საქართველოს ოფისი ადგილებზე ცენტრების საჭიროებასა და ეფექტურობაში დაარწმუნა, რასაც მოჰყვა ახალი ცენტრები კახეთში, აჭარაში, გურიაში, რაჭაში, იმერეთში. დღეისათვის უკვე საქართველოს რვა რეგიონშია გახსნილი ზრდასრულთა განათლების 11 ცენტრი (ახალციხის, ახალქალაქის, ჯვარის, სენაკის, შაუმიანის, კოდის, ლელიანის, ქედის, ჩოხატაურის, ამბროლაურის, ხარაგაულის), რომლებიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, აქტიურად, ნაყოფიერად თანამშრომლობენ ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან. ისინი ახლა თავად არიან სხვადასხვა საინტერესო პროექტების ავტორებიცა და შემსულებლებიც და თავიანთი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ცენტრების ბენეფიციარების ჩართულობით, სოციალური საწარმოებიც გახსნეს. DVV International მათ პატრონაჟს, რა თქმა უნდა, კვლავაც აგრძელებს და მომავალში თითო ასეთი ცენტრის დაფუძნებას ქვეყნის ყველა რეგიონში გეგმავს, რათა ზრდასრულთა განათლების ძირითადი იდეის - მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების შესაძლებლობა ყველგან ჰქონდეთ ადამიანებს.

ცენტრების უკეთ კოორდინირებისა და თანამშრომლობის მიზნით, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარებისთვის, 2014 წელს მათივე ინიციატივითა და DVV-ის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი GAEN შეიქმნა, რომელიც ევროპის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის EAEA წევრია. ცენტრების მხარდაჭერასა და ზრდასრულთა განათლების იდეის პოპულარიზაციას ქსელი არა მხოლოდ ადგილობრივად, არამედ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებითაც ცდილობს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არაფორმალური განათლების ამ მოდელის ხელშეწყობა ქვეყანაში კვლავაც უცხოელი დონორების კეთილ ნების იმედად რჩება, თუმცა ასეთივე ნება, სათანადო მხარდაჭერა და აღიარება მას სახელმწიფოსგანაც სჭირდება. საბედნიეროდ, სასიკეთო ცვლილებები ამ მიმართულებით ბოლო ხანს გამოიკვეთა - განათლების სამინისტროში სპეციალური სამმართველო შეიქმნა, რომელიც ზრდასრულთა განათლების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ნაბიჯებია. სასურველია, რომ ეს ნაბიჯები მომავალში კიდევ უფრო მტკიცე და აქტიური გახდეს, რათა ფორმალურმა და არაფორმალურმა განათლებამ, დღევანდელი ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, ერთიანი ძალისხმევითა და თანამშრომლობით მეტი არჩევანი და საგანამნათლებლო რესურსი შესთავაზონ ადამიანებს პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მისაღებად. ამ მხრივ ქართულ ზრდასრულთა განათლებას უკვე იმდენი შრომა აქვს გაწეული და იმხელა გამოცდილება და კონკრეტული შედეგები დაგროვილი, რომ მისი ხელშეწყობა სწორედ რომ სასიკეთოდ, რეალურად წაადგება საზოგადოებას.

და დღეს იმ რეგიონებში, სადაც DVV International-ის საქართველოს ოფისის მიერ შექმნილი სათემო ცენტრები არსებობს, აღარავინ გკითხავთ - რას ნიშნავს ზრდასრულთა განათლება ან რა სარგებელი მოაქვს მას ადამიანებისთვის, რადგან ეს სარგებელი მათ უკვე ნახეს და შეუძლიათ, წარმატების უამრავი მაგალითიც დაგისახელონ. ამ მაგალითებზე კონკრეტულად საუბრისთვის ჩვენი წერილის ფორმატი მცირეა, თორემ სათქმელი ნამდვილად ბევრია...

TABULA.GE
25.11.2019

EENCE სამიტი საქართველოში

„აღმოსავლეთ ევროპის ქსელი მოქალაქეობის სწავლებისთვის“ EENCE-ის კონსორციუმის წევრებმა პირველი სამიტი საქართველოში გამართეს, რომელიც 4 - 6 ოქტომბერს ბათუმში ჩატარდა. სამიტი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაძლიერებას. იგი ასევე ემსახურებოდა, სამოქალაქო განათლების მიმწოდებლებისა და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტების გაერთიანებას. სამიტს 140 მონაწილე ჰყავდა 15 ქვეყნიდან. მას საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დირექტორი თამარ ჭაბუკიანიც ესწრებოდა. სამიტის სესიებში შემოთავაზებული ფორმატებისა და თემების ფართო სპექტრს 42 საერთაშორისო სპიკერი ხელმძღვანელობდა. სამიტზე რვა ნომინაციაში გამარჯვებული რვა ორგანიზაცია დასახელდა.

თანამშრომლობის მემორანდუმი

2019 წლის 3 ივნისს საქართველოს უნივერსიტეტსა და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს (GAEN) შორის, საქართველოს განათლების სისტემაში გატარებული და გასატარებელი პროგრესული რეფორმების განხორციელების მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების კონკრეტული მიზანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაა, განსაკუთრებით, რეგიონებში. აღნიშნული მიმართულებით ერთობლივი აქტივობების, პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას. მემორანდუმი ფორმალური და არაფორმალური განათლების გაერთიანებითა და ერთობლივი ძალისხმევით წინ გადადგმული ნაბიჯი და მნიშვნელოვანი მიღწევაა ზრდასრულთა განათლების პოპულარიზაციისა და პრაქტიკაში მისი დანერგვისკენ.

სამუშაო სტანდარტი ზრდასრულთა სათემო განათლების ცენტრებისათვის

2019 წელს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა (GAEN) ცენტრების სამუშაოს ხარისხის ასამაღლებლად არაფორმალური განათლების განმახორციელებელი ინსტიტუციების ხელმძღვანელებისთვის ერთიანი სტანდარტი შეადგინა. დოკუმენტი არაფორმალური ზრდასრულთა სათემო განათლების ინსტიტუციების ხელმძღვანელების საქმიანობის სამუშაო სტანდარტია და ხელს უწყობს შესრულებული სამუშაოს მართვას, შეფასებასა და ანალიზს, რაც საბოლოო ჯამში, ცენტრების ხელმძღვანელების მუშაობის გაუმჯობესებას ემსახურება. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა ცენტრების დირექტორთა კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით ინდივიდუალურ დონეზე განისაზღვრა ის გასატარებელი სამუშაოები, მომავალში რომ უნდა დაიგეგმოს. სტანდარტი რამდენიმე ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს, მათ შორის: ცენტრის მართვის, სამუშაო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს, ასევე - ადგილობრივ თემთან და პარტნიორებთან კომუნიკაციისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2019 წლის საუკეთესონი საქართველოს ზრდასრულთა განათლებაში

ყოველწლიური შემაჯამებელი ღონისძიება, რომელსაც საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) ტრადიციულად წლის ბოლოს ატარებს, 5 დეკემბერს გაიმართა სასტუმრო „ბეტსში“. ღონისძიებაზე ზრდასრულთა განათლების საუკეთესონი გამოვლინდნენ და ასევე - ჟურნალისტური კონკურსის გამარჯვებული, რომელიც ზრდასრულთა განათლების თემაზე ყოველწლიურად იმართება. სანამ გამარჯვებულებს გაგაცნობდეთ, მოკლედ - თავად ღონისძიების შესახებ.

შემაჯამებელ შეხვედრაზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ზრდასრულთა განათლების ქსელში შემავალი რეგიონული სათემო განათლების ცენტრები, რომელთა რიცხვი დღეს უკვე 11-ია ქვეყანაში და რომელთა წარმატება შთამბეჭდავად ასახა ღონისძიებაზე გამოფენილი, ცენტრებში განხორციელებული პროფესიული თუ პიროვნული განვითარების კურსების ფარგლებში შექმნილმა ნამუშევრებმა. თექის, ქვილთის, გობელენის, ქარგვის, ქსოვის, საიუველირო, ხის ნაკეთობათა, სხვადასხვა სახის აქსესუარებმა და სუვენირებმა დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ღონისძიებას საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციებიდან, არაფორმალურ განათლებაში მოღვაწე სხვა ორგანიზაციებიდან.

შემაჯამებელი შეხვედრა **საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორმა თამარ ჭაბუკიანმა** გახსნა. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის, ქსელის საქმიანობით დაინტერესებისთვის და თავის პრეზენტაციაში განვლილი წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობები და შედეგები შეაჯამა. როგორც პრეზენტაციიდან გაირკვა, წლევანდელი წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბენეფიციართა სიმრავლით, პროფესიულ კურსებზე მიღებული ცოდნით დასაქმებულთა რიცხვით და კიდევ ერთი ახალი ცენტრის შემატებით, რომელიც DVV International საქართველოს ოფისის ძალისხმევით ამ ზაფხულს ხარაგაულში გაიხსნა.

შემაჯამებელი ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ და თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პრო-**

ფესიული განათლებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მარიკა ზაქარეიშვილმა; DVV International-ის კავკასიის, თურქეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ოფისის დირექტორმა მაია ავრამოვსკამ და DVV International-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა ლალი სანთელაძემ.

ღონისძიების ყველაზე ამაღელვებელი და ემოციური მომენტი სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოვლენა გახლდათ. ტრადიციული ჟურნალისტური კონკურსის გამარჯვებული გახდა ზრდასრულთა განათლების თემაზე შექმნილი, **„წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის“ ავტორი გელა მამულაშვილი,** რომელსაც კონკურსის პრიზი და ფულადი ჯილდო გადაეცა; **„წლის საუკეთესო ცენტრის“ ტიტული ლელიანისა და სენაკის ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებმა მოიპოვეს; „წლის საუკეთესო ტრენერი“ გახდა მანონი ფიფია ჯვარის სათემო განათლების ცენტრიდან; „წლის საუკეთესო ბენეფიციარი“ - ბადრი ვეკუა, სენაკის სათემო განათლების ცენტრიდან და ბოლოს, „წლის საუკეთესო მოხალისე“ - ვატო პავლიაშვილი,** რომელსაც სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

საზეიმო განწყობა ღონისძიების დასასრულს გამართულმა ფურშეტმა და ფოტოსესიამ დააგვირგვინა, რომელიც შეხვედრის მონაწილეთათვის შედგა. გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს, რომელიც ღონისძიების მონაწილეებისგან ამ დროს მოვიპოვეთ:

თამარ ჭაბუკიანი, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი: - დღეს GAEN-ის 2019 წლის შემაჯამებელი ღონისძიებაა, რომლის ფარგლებშიც ქსელის ცენტრი ბენეფიციარების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო; ასევე, გამოვავლინეთ ყოველწლიური კონკურსის „ზრდასრულთა განათლების საუკეთესონი“ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში. აღსანიშნავია, რომ „წლის საუკეთესო ცენტრის სტატუსი“ ამჯერად ორმა ცენტრმა მოიპოვა; დავაჯილდოვეთ „წლის საუკეთესო ტრენერი“; „წლის საუკეთესო ბენეფიციარი“ და „წლის საუკეთესო მოხალისე“. ყველა ეს ადამიანი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სწავლასა და თვითგანვითარებაზე ზრუნვას ყოველთვის მოაქვს პოზიტიური შედეგები ინდივიდუალურ დონეზეც და თემშიც, ამიტომ დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ მათ. გარდა ამისა, ღონისძიებაზე საზოგადოებას წარვუდგინეთ 2019 წლის მოკლე ანგარიში და გავაცანით 2020 წლის გეგმები, რომელიც საკმაოდ ამბიციური და, ძირითადად, ხარისხის გაუმჯობესებაზეა ორიენტიერებული. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა სტუმარს - დონორებს, პარტნიორებს, დაინტერესებულ მხარეებსა და ორგანიზაციებს დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის და, რა თქმა უნდა, ჩვენს ცენტრებს, მათ თითოეულ თანამშრომელს თავიანთ რეგიონებში მართლაც მნიშვნელოვანი საქმის კეთებისთვის, საზოგადოებისა და თემის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისთვის.

მარიკა ზაქარეიშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: - მიმაჩნია, რომ DVV International-ის საქართველოს ოფისი და მისი შვილობილი ორგანიზაცია GAEN ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ, რადგან საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი არ არის არაფორმალურ განათლებაზე მომუშავე ორგანიზაცია. არადა, განათლების კონტინიუმში არაფორმალურ განათლებას საკამოდ ღირ-

სეული ადგილი უკავია, რადგან იგი საკუთარი თავის პოვნისა და თვითრეალიზაციის საშუალებას ცხოვრების ბოლომდე სთავაზობს ზრდასრულებს. ეს ღონისძიებაც და აქ წარმოდგენილი ნამუშევრებიც სწორედ ამის ნათელი მაგალითია, განსაკუთრებით, იმ ცენტრების შემთხვევაში, რომლებიც მოწყვლად რეგიონებში ოპერირებენ. იქ, ალბათ, არც არსებობს ბევრი სხვა სერვისი, რომელიც მოსახლეობის ინტერესების რეალიზებისკენ იქნება მიმართული. ამიტომ ჩემი დღევანდელი შთაბეჭდილება არის ძალიან დადებითი, გულწრფელად დადებითი... მე გავიცანი ცენტრების დირექტორები, მათი ღირებულებები და მოტივაცია - ყველა ადამიანს საკუთარი თავის პოვნის თანაბარი შესაძლებლობა მისცენ. არაფორმალური განათლების მთავარი მიზანიც ეს არის და ამ ღონისძიებაზე კარგად გამოჩნდა. ზრდასრულთა სათემო განათლების ცენტრები მრავალფეროვანი პროგრამებით ცდილობენ, შრომითი ბაზრის მოთხოვნები გაითვალისწინონ და პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებული სერვისები შესთავაზონ ადამიანებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და სხვა ქვეყნების, კერძოდ, კი გერმანული ზრადსრულთა განათლების მოდელს იზიარებს. როგორც მითხრეს, უცხო ენების, კომპიუტერისა და სხვა უნარების გარდა, სადღაც, მაგალითად, იოგას კურსიცაა გახსნილი, სადღაც კი ცეკვას ასწავლიან... ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში და სულ სხვა ხალისსა და მოტივაციას აძლევს ადამიანებს, რომელთაც, იქნებ, საკუთარი შინამეურნეობის გარდა არც არაფერი აქვთ - არც სამსახური, არც ინტერესები... ამიტომაც მომწონს ეს კონცეფცია და ვთვლი, რომ უნიკალურია - პროფესიულ განვითარებასთან შერწყმული ზოგადი კომპეტენციები და პლუს პიროვნული უნარების განვითარება იშვიათი სერვისია ჩვენს რეალობაში. ძალიან მომეწონა, ასევე, სოციალური საწარმოების კონცეფციაც, რომელიც ადგილზე დასაქმების შესაძლებლობასაც ქმნის და შედეგის რეინვესტირებით თავადვე აცოცხლებს ცენტრებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მომავალში მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად (როცა ქვეყნიდან დონორები გავლენ). არსებულის შესანარჩუნებლად და კიდევ უფრო განსავითარებლად მეტ სტრატეგიულ ქმედებებსა და პროდუქტიულობას ვუსურვებ DVV International-ის საქართველოს ოფისს, ქსელსა და ცენტრებს, რომელთაც ამ სასიკეთო საქმეში, ბუნებრივია, განათლების სამინისტროს მხარდაჭერაც ექნებათ.

მაია ავრამოვსკა, DVV International-ის კავკასიის, თურქეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ოფისის დირექტორი: - მე ძალიან კმაყოფილი ვარ DVV International საქართველოს მიდგომით საქართველოში ზრდასრულთა / სათემო განათლების ცენტრების შექმნისა და განვითარების საქმეში. მინდა გითხრათ, რომ ქართული მაგალითი შთაგონების წყაროდ იქცა ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის და რეგიონის ფარგლებს გარეთაც მათთვის, ვინც ასევე ცდილობს ზრდასრულთა განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და წარმატებით ფუნქციონირებას. ამ მიზნით DVV International საქართველოს ოფისმა და ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებმა რამდენიმე სასწავლო ვიზიტს უმასპინძლეს სხვადასხვა ქვეყნიდან, რათა მათ ინფორმაცია მიეღოთ საქართველოში ჩამოყალიბებული ქსელის ფუნქციონირებაზე და გამოცდილება გაზიარებულიყო. ვფიქრობ, დაფუძნებული ზრდასრულთა სათემო განათლების 11 ცენტრი და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი, როგორც ცენტრების ქოლგა ორგანიზაცია, მძლავრი საფუძველია ზრდასრულთა განათლების მდგრადი სისტემის განვითარებისთვის ქვეყანაში. განვითარებული ზრდასრულთა განათლების სისტემა კი თანამედროვე

საზოგადოების მახასიათებელია, რომელიც მიმართულია საკუთარი მოსახლეობის განათლებისკენ გლობალური ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად და იმისათვის, რომ გვქონდეს უფრო კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი, რაც ყველაზე დიდი სიმდიდრეა. დღევანდელი ღონისძიება ნათელი სურათია იმ დიდი შრომისა და მოტივაციისა, რომლის თვალხილული შედეგებით ასე მოვიხიბლეთ დღეს. მე კვლავაც წარმატებას ვუსურვებ ცენტრებს, ქართველ ზრდასრულთა განმანათლებლებს თავიანთ საქმიანობაში და ვთხოვ, შეინარჩუნონ ეს მაღალი მოტივაცია, პროგრამებისა და მეთოდების ხარისხი, რომელსაც ახლა სთავაზობენ საზოგადოებას. თუ ხალხი თქვენი მუშაობით კმაყოფილი იქნება, ისინი კვლავაც მოვლენ თქვენს ცენტრში, კვლავაც გაივლიან თქვენ მიერ შეთავაზებულ კურსებს და სწორედ კმაყოფილი ბენეფიციარებით შევძლებთ, ზრდასრულთა განათლება წარმატებულ ისტორიად იქცეს საქართველოში.

დაბოლოს, ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულის, **„წლის საუკეთესო მოხალისის“, 16 წლის ვატო პავლიაშვილის კომენტარი, რომელიც იესემის გერმანული სკოლის 11 კლასის მოსწავლეა** და დაუზარელი შრომით, პასუხისმგებლობითა და მონდომებით გამოიჩინა თავი: - ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი სიხარული, რადგან ვერ ვიფიქრებდი, თუ ჩემი ასე მოკრძალებული წვლილი შესამჩნევი და აღსანიშნი გახდებოდა. დიდი მადლობა ამისთვის GAEN-ს და DVV-ს, რომლებმაც ეს ასე დააფასეს და წამახალისეს. მოხალისეობა პირველად შარშან ვცადე, როდესაც ევროპის დღეებში დავეხმარე DVV-ს. ეს ჩემთვის პასუხიმგებლობის, შრომის კარგი გაკვეთილი, გამოცდილება აღმოჩნდა და მას შემდეგ მუდამ სიამოვნებით ვერთვები მათ აქტივობებში და ღონისძიებებში და სხვადასხვა საორგანიზაციო-საოფისე საქმეებში ვეხმარები. ვთვლი, რომ მოხალისეობა საუკეთესო საშუალებაა საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და ახალი უნარების ასათვისებლად, რაც შემდეგ ცხოვრებაშიც გამოგვადგება. ამიტომ ჩემს თანატოლებს ვურჩევდი, არ დაიზარონ უანგაროდ შრომა, რომელიც მართლაც სახალისოა და საპატიოც და ბევრად სჯობს მთელი დღე კომპიუტერთან ჯდომასა თუ ქუჩაში ყოფნას. ეს ჯილდო კარგი მოტივაცია და დაფასებაა ჩემთვის, რომ მომავალში კიდევ უფრო აქტიურად ჩავერთო საზოგადო საქმიანობაში და სასარგებლო შრომით დავკავდე, თანაც მშობლებიც ძალიან გავახარე... კიდევ ერთხელ მადლობა GAEN-ს და DVV-ს! იღბლიანია ის, ვინც ამ ორგანიზაციებში მოხვდება, რადგან აქ შრომასა და მონდომებას არ გიკარგავენ...

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N8, II სართული
ტელეფონი: 2222584
ელ.ფოსტა: info@gaen.org.ge
ვებ-გვერდი: www.gaen.org.ge

რედაქტორი
რიტა ბაინდურაშვილი

vhs DVV International

ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.